ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის
ო ქ მ ი №01-06/06

დაბა ქედა, **31 მაისი, 2024 წელი**

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 13:05 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 18.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა აბულაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
ჯიმშერ სამნიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ირაკლი მახარაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი:
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე- საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/06 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

31 მაისი, 2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ სხდომაზე დასწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 მაისის №01-06/06 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. ქედის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მომრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული მომრავი ქონების პირდაპირ განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ვადით, სარგებლობის უფლებით შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამსახურის უფროსი: დავით თედორაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

5. 2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის ისტორიულ მუზეუმში არსებული ინფორმაციის მოსმენა.

მომხსენებელი: ა(ა)იპ ქედის ისტორიულ მუზეუმის
დირექტორი: ვაჟა ფარტენაძე

6. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2023 წლის წლიური ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის შიდა აუდიტის
სამსახურის უფროსი: შოთა ბერიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ საკრებულოს წევრებს აცნობა, რომ საჭირო იყო კიდევ ერთი საკითხის ,,ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში 2024 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შეტანა, რაზედაც ითხოვა წარმოდგენილ საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში დამატებულიყო საკითხი და წარმოადგინა №01-06/06 მორიგი სხდომის დღის წესრიგის განახლებული პროექტი შემდეგი სახით:

1. ქედის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული მოძრავი ქონების პირდაპირ განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ვადით, სარგებლობის უფლებით შპს „ქედის კომუნალურსერვისი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამსახურის უფროსი: დავით თედორაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

5. 2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის ისტორიულ მუზეუმში არსებული ინფორმაციის მოსმენა.

მომხსენებელი: ა(ა)იპ ქედის ისტორიულ მუზეუმის
დირექტორი: ვაჟა ფარტენაძე

6. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2023 წლის წლიური ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის შიდა აუდიტის
სამსახურის უფროსი: შოთა ბერიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

7. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში 2024 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :
დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 მაისის №01-06/06 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ განცხადება გააკეთა ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ- პირველ რიგში მიულოცა დამსწრე საზოგადოებას საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და თავისუფალ საქარველოში ცხოვრება უსურვა. შემდეგ ისაუბრა ბოლო პერიოდში ქვეყანაში მომხდარი მიმდინარე მოვლენების შესახებ, კერძოდ სამარხვინო უწოდა ქედის მოსახლეობაზე ზეწოლის ფაქტებს, კერძოდ ურეკავენ მოსახლეობას და მათზე ფქისოლოგიურ ზეწოლას ახორციელებენ განსხვავებული შეხედულებებისა და თავისუფალი აზრის გამოხატვის გამო. აქვე აღნიშნა, რომ ნებისმიერი პოლიტიკური პარტია უძლურია დროსთან და ხალხთან, მისი აზრით პოლიტიკური შეხედულებები ადამიანურ უთრთიერთობამდე არ უნდა მივიდეს და ბოლოს კითხვით მიმართა სხდომის თავმჯდომარეს ამირან ცინცაძეს- ,,ეს გზა სად მიგვიყვანს?", რაზედაც საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ უპასუხა რომ ეს გზა ღირსებით ევროპისაკენ მიგვიყვანდა და 2030 წელს საქართველო ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახდებოდა. განცხადების გაკეთების შემდეგ 12:10 წუთზე სხდომა დატოვეს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს წევრებმა, ვინაიდან ბოიკოტის რეჟიმში აგრძელებდნენ ყოფნას.

1. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქედის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის

მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95241494-95, 28.05.2024 წელი) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა"-ს დირექტორის სულხან ჯიჯავაძის წერილი, რომლითაც მოითხოვს ერთი ერთეული მოძრავი ქონების Mercedes-Benz-ის ფირმის მიკროავტობუსის, (სახელმწიფო ნომრი HB-138-HH) საკუთრებაში გადაცემას. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ზემოთ მითითებული ავტომანქანა Mercedes-Benz-ი (სახ. N HB-138-HH) ირიცხებოდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ შპს „საფეხბურთო კლუბი ბეთლემი"-ს ბალანსზე. კლუბის დირექტორის თორნიკე აფხაზავას მიმდინარე წლის 28 მარტის N2 წერილით მოთხოვნილია აღნიშნული ავტომანქნის ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალიდან გატანა, ვინაიდან ავტომანქანა თავისი მოცულობიდან გამომდინარე (16+1 ადგილი) ვერ აკმაყოფილებს საფეხბურთო გუნდის გადაადგილებისათვის საჭირო მოთხოვნებს და მათთვის გამოუსადეგარია. რაზედაც მიმდინარე წლის 10 აპრილს ჩატარდა პარტნიორთა კრება და მიღებული გადაწყვეტილებით (ოქმი N2) ავტომანქანა Mercedes-Benz-ი (სახ. N HB-138-HH) გამოტანილი შპს „საფეხბურთო კლუბი ბეთლემი"-ს საწესდებო კაპიტალიდან, რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 867 (რვაასსამოცდაშვიდი) ლარს. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე დღეის მდგომარეობით ავტომანქანა Mercedes-Benz-ი (სახ. N HB-138-HH) უფუნქციოდაა დარჩენილი და მისი ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბ ქედა"-სთვის გადაცემა მიზანშეწონილია, რათა აღნიშნულმა ორგანიზაციამ გამართულად უზრუნველყოს ბავშვთა საფეხბურთო ჯგუფების ტრანსპორტირება სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობის მიზნით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.
შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი -0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95241523; 31.05.2024 წელი).

2. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული მოძრავი ქონების პირდაპირ განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ვადით, სარგებლობის უფლებით შპს „ქედის კომუნალურსერვისი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული მოძრავი ქონების პირდაპირ განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ვადით, სარგებლობის უფლებით შპს „ქედის კომუნალურსერვისი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95241493-95, 28.05.2024 წელი) და განმარტა, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი ერთეული მოძრავი ქონების, კერძოდ: IVECO მარკის (EUROCARGO ML 150 E25W მოდელი) ნაგავმზიდი (რეგისტრაციის ნომერი GG692XG). აქედან გამომდინარე შპს „ქედის კომუნალურსერვისი"-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 5 (ხუთი) წლის ვადით, თხოვების უფლებით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა, რათა ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ განახორციელოს აღნიშნული

ქონების შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ შესაბამისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის მომზადება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.
შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი -0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95241524; 31.05.2024 წელი).

3. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95241091-95, 18.04.2024 წელი) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.
შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი -1 (გოჩა ჟღენტი)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95241522; 31.05.2024 წელი).

4. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელმა დავით თედორაძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95241437-95, 22.05.2024 წელი) მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს ,,ძველი საცხოვრებელი სახლის ახლით ჩანაცვლების“ პროგრამის განხორციელებისას რა თანხა იქნა გამოყოფილი სახლების მშენებლობისათვის და იგეგმება თუ არა მომავალშიც აღნიშნული პროგრამის გაგრძელება, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ,,ძველი საცხოვრებელი სახლის ახლით ჩანაცვლების პროგრამა“-ს განხორციელება გრძელდება და მთლიანად გადაეცა შესასრულებლად მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურს.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 13
წინააღმდეგი -1 (გოჩა ჟღენტი)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95241526; 31.05.2024 წელი).

5.მოისმინეს: 2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის ისტორიულ მუზეუმში არსებული ინფორმაციის მოსმენა.

მომხსენებელმა ა(ა)იპ ქედის ისტორიულ მუზეუმის დირექტორმა ვაჟა ფარტენაძემ საკრებულოს წარუდგინა 2023 წლის მდგომარეობით 2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის ისტორიულ მუზეუმში არსებული ინფორმაციის მოსმენა (წერილის ნომერი: №06/95241341-95, 13.05.2024 წელი) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა მზია ბოლქვაძემ მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისათვის და აქვე აღნიშნა, რომ მუზეუმში არსებული ექსპონატებისათვის ინტერიერი საჭიროებდა ესთეტიურ მოწესრიგებას და თუ იგეგმებოდა ახლო მომავალში აღნიშნული საკითხის მოგვარება, რაზედაც მომხსენებელმა ვაჟა ფარტენაძემ განმარტა, რომ ახალი ფართის მოლოდინის გამო ვერ ხდება მუზეუმის ესთეტიური მხარის მოწესრიგება და იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს მომავალში მოგვარდება აღნიშნული საკითხი.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 14
წინააღმდეგი -0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N: გ-95.95241527, 31.05.2024 წელი).

6.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2023 წლის წლიური ანგარიში.

მომხსენებელმა შოთა ბერიძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2023 წლის წლიური ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95241492-95, 28.05.2024 წელი) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს რა მიზეზით არ იქნა განხორციელებული შვიდი პროექტი, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტების განხორციელებისას პირველი შემსრულებელი არის მუნიციპალიტეტის მერი, მეორე მერიის შიდა აუდიტის სამსახური და მესამე ორგანიზაცია ვინც უნდა შეასრულოს დაკისრებული ვალდებულება კონკრეტულ ვადებში. აქვე აღნიშნა, რომ შიდა აუდიტის საქმიანობა იწყება რეკომენდაციის შესრულების მოთხოვნით.

საკრებულოს წევრმა გოჩა ღჟენტმა კითხვით მიმართა მომხსენებელს რა ზომები იქნა გატარებული „ძველი სახლის ახლით ჩანაცვლების“ პროგრამის ოთხჯერ დარღვევის შემდეგ, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ თავდაპირველად საკითხი იქნა შესწავლილი შიდა აუდიტის მიერ თუმცა სატენდერო კომისიას რაიმე შეცდომა არ ჰქონია, უბრალოდ კონკრეტულ ვადებში ვერ მოხერდა დაკისრებული ვალდებულებების შესრულება უამინდობის გამო.

საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ მადლობა გადაუხადა შოთა ბერიძეს გაწეული საქმიანობისათვის და წარმოდგენილი ანგარიში დადებითად შეაფასა.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;

მომხრე - 14
წინააღმდეგი -0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი. (განკარგულება N:გ-95.95241525, 31.05.2024 წელი).

7. მოისმინეს:ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში 2024 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში 2024 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი N:12-95241514-95, 30.05.2024 წელი) და განმარტა, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის შესაბამისად მოხდება ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში 2024 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა ნუსხის დამტკიცება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში 2024 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა ნუსხა

N	ადმინისტრაციული ერთეული	დასახლება (სოფელი)	იდეის (პროექტის) დასახელება	იდეის (პროექტის) ღირებულება
1	დაბა ქედა	არსენაული	წარწერა არსენაული განათებით	**14200**
2		აქუცა	გარე განათება	**22000**
3		გულები	შიდა გზების განათება და ბეტონი	**20800**
4		დაბა ქედა	მინი სკვერის მოწყობა	**130000**
5		ზენდიდი	ბილიკის მოპირკეთება და განათება	**23500**
6		კორომხეთი	სოფლის სახლის მშენებლობა	**17300**
7		ორცვა	გარე განათება	**20600**
8		შევაბური	გარე განათება	**14200**
9		ცხემნა	საბავშვო ატრაქციონები	**17200**
10		ძენწმანი	გარე განათება	**19000**
11		ხუნკუდა	არსებული შენობის რეაბილიტაცია	**15700**

12	დანდალო	ბალაძეები	გარე განათება	**15400**
13		გოგიაშვილები	გარე განათება	**18900**
14		დანდალო	წისქვილის მოწყობა	**25800**
15		მოსიაშვილები	გარე განათება	**17800**
16		ტაკიძეები	გარე განათება	**18500**
17		ხარაულა	გარე განათება	**38800**
18		ჯალაბაშვილები	გარე განათება	**24100**
19	დოლოგანი	დოლოგანი	გარე განათება	**28900**
20		ჭალახმელა	გარე განათება	**17400**
21		ჭინკაძეები	გარე განათება	**19200**
22	ზვარე	ვაიო	ბეტონის გზის მოწყობა	**28600**
23		ზესოფელი	გარე განათება	**19400**
24		ზვარე	გარე განათება	**19200**
25		კვაშტა	სარიტუალო ინვენტარი	**22700**
26		სირაბიძეები	ბეტონი და გარე განათება	**21500**
27	ნახუნცეთი	ზ. მახუნცეთი	საბავშვო ატრაქციონები	**19300**
28		ზედა ბზუბზუ	ფანჩატურის გაკეთება	**23900**
29		ზუნდაგა	გარე განათება	**23600**
30		მილისი	სკვერის მოწყობა	**15700**
31		ნამლისევი	განათებული სოფელი	**17300**
32		უჩხითი	გარე განათება	**21800**
33		ქვ. მახუნცეთი	გზის რეაბილიტაცია	**29800**
34		ქვედა ბზუბზუ	ბილიკების მოწყობა	**21900**
35		ქოსოფელი	გარე განათება	**13400**
36	მერისი	გარეტყე	სოფლის სახლის ინვენტარით აღჭურვა	**14200**

37		გუნდაური	თავშეყრის ადგილი	**20000**
38		ინაშარიძეები	გარე განათება	**19100**
39		მერისი	სარიტუალო ინვენტარი შეძენა	**23600**
40		ნამონასტრევი	ფანჩატურის აშენება	**12800**
41		სილიბაური	სარიტუალო ინვენტარის შეძენა	**15400**
42		სიხალიძეები	გარე განათება	**16800**
43	**ოქტომბერი**	აგოთა	გარე განათება	**15600**
44		გოგინიძეები	გარე განათება	**14400**
45		კუჭულა	წისქვილი	**19200**
46		მეძიბნა	გარე განათება	**18600**
47		ოქტომბერი	განათებული დიდვაკე- განათებული სოფელი	**21300**
48	**პირველი მაისი**	ზ. აგარა	გარე განათება	**14900**
49		კოლოტაური	საშლელი კარავის დამზადება და სარიტუალო ინვენტარის შეძენა	**31500**
50		პირველი მაისი	ახალი სივრცე (კლუბის შენობის რეაბილიტაცია)	**33700**
51		ქვ. აგარა	გარე განათება	**15100**
52	**ცხმორისი**	ახო	გარე განათება	**36900**
53		გეგელიძეები	ბალახის საპრესი	**29400**
54		გობრონეთი	სოფლის საზოგადოებრივი ფანჩატური	**21500**
55		კოკოტაური	გარე განათება	**34700**
56		ჩეტკიძეები	გარე განათება	**18600**
57		ცხმორისი	გარე განათება	**37200**
58	**წონიარის ი**	აბუქეთა	გარე განათება	**22700**
59		ვარჯანისი	გზების ბეტონირება	**18500**

60		კანტაური	გზების ბეტონირება	**13600**
61		საბადური	გარე განათება	**12700**
62		სასადილოყელი	გზის ბეტონირება	**10900**
63		ტიბეთა	გზის ბეტონირება	**17100**
64		წონიარისი	გარე განათება	**32600**
სულ ჯამი				**1450000**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 13
წინააღმდეგი -1 (გოჩა ჟღენტი)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95241521; 31.05.2024 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 13:05 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**